საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო

გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შეფასება

(2020 წლის 11 დეკემბერი - 2022 წლის 1 ივნისი)

კვლევის ხელმძღვანელი

ლიკა საჯაია

წამყვანი მკვლევარი

თამარ ტატანაშვილი

კვლევა მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida)
ფინანსური მხარდაჭერით

Sweden/შვედეთი
Sverige

სარჩევი

შესავალი 4

თავი 1. ძირითადი მიგნებები 4

თავი 2. გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციები და შემადგენლობა 5

თავი 3. საბჭოს საქმიანობის სტატისტიკური მონაცემები 7

თავი 4. კანონმდებლობის გენდერული ანალიზი, ინიციატივებზე მუშაობა და ადვოკატირება 7

4.1 გენდერული თანასწორობის საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების ჩამოყალიბება და მონიტორინგი 7

4.2 კანონმდებლობის გენდერული ანალიზის განხორციელება 8

4.3 საბჭოს მუშაობა საკანონმდებლო ინიციატივებზე 10

თავი 5. ზედამხედველობის განხორციელება 11

5.1 ანგარიშების მოსმენა 11

5.2 თემატური მოკვლევის ჯგუფების საქმიანობა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი 13

თავი 6. საბჭოს მიერ განხილული და მიღებული განცხადებები 15

რეკომენდაციები 16

შესავალი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“-ს საპარლამენტო მონიტორინგის პროექტის ფარგლებში შესრულებული კვლევა მოიცავს გენდერული თანასწორობის საბჭოს (შემდეგში - საბჭო) საქმიანობას **X მოწვევის პარლამენტში, 2020 წლის 11 დეკემბრიდან 2022 წლის 1 ივნისის ჩათვლით პერიოდში** (შემდეგში - საანგარიშო პერიოდი).

წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში შესწავლილი და შეფასებულია საბჭოს აქტივობა შემდეგი მიმართულებებით:

- კანონმდებლობის გენდერული ანალიზი;
- ახალ საკანონმდებლო ინიციატივებზე მუშაობა;
- გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის ზედამხედველობა და მონიტორინგი;
- საბჭოს რეაგირება გახმაურებულ ფაქტებსა და მოვლენებზე;
- საბჭოს მიერ განხილული და მიღებული განცხადებები.

კვლევა ეფუძნება პარლამენტიდან გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციას, ასევე პარლამენტის ვებგვერდზე არსებულ მონაცემებსა და ჩვენი ორგანიზაციის დაკვირვებებს.

თავი 1. ძირითადი მიგნებები

საბჭო აქტიურად იყო ჩართული თემატური მოკვლევის ჯგუფების მუშაობის პროცესში და ასევე ახორციელებდა ჯგუფების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების კონტროლს. საბჭოს წევრების მხრიდან პარლამენტს წარედგინა მათ მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ინიციატივები, რომელთა მიღებაც დადებითად უნდა შეფასდეს ქალთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

მეათე მოწვევის პარლამენტში გენდერული თანასწორობის საბჭოს სრულად ფორმირება დაგვიანებით განხორციელდა, რაც სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ხელშემშლელ გარემოებას წარმოადგენდა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ვალდებულებების შესრულება ვერ განხორციელდა, მაგალითად: კანონმდებლობის გენდერული ანალიზი, განმარტებით ბარათში გენდერული ზეგავლენის კომპონენტის დამატების საკითხი და ა.შ. მთავრობის მხრიდან არ ხდებოდა საბჭოსთვის წარსადგენი ანგარიშების დადგენილ ვადაში წარდგენა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობისას შემდეგი **პოზიტიური** ტენდენციები გამოიკვეთა:

- დაინიცირდა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს **„მსხვერპლის სტატუსის“**, როგორც თავშესაფრის სერვისებით სარგებლობის წინაპირობის გაუქმებას;
- საბჭოსთან შექმნილმა ჯგუფმა, ექსპერტების ჩართულობით, შეიმუშავა კონცეფცია და მეთოდოლოგია პარლამენტის საქმიანობაში გენდერული გავლენის ანალიზის (GIA) ინტეგრირებისათვის;
- საბჭო მუშაობდა საკანონმდებლო ცვლილებებსა და ინიციატივებზე, მათ შორის, მარტოხელა მშობლის სტატუსის შეცვლის საკითხთან და „გენდერული თანასწორობის შესახებ” კანონთან დაკავშირებით;
- საბჭომ დაასრულა 2 თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი; გაცემული რეკომენდაციებიდან სრულად შესრულდა 35, ნაწილობრივ - 14, ხოლო არ შესრულდა 23 რეკომენდაცია. მონიტორინგი მიმდინარეობს კიდევ ერთი თემატური ჯგუფის რეკომენდაციების შესრულებაზე.

გამოწვევები გენდერული თანასწორობის მიმართულებით:

- სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები არ სრულდება დადგენილ ვადაში. მიუხედავად იმისა, რომ გადაიდგა აქტიური ნაბიჯები გენდერული გავლენის ანალიზის (GIA) მეთოდოლოგიის შემუშავებისთვის, საანგარიშო პერიოდში პარლამენტისთვის არ წარუდგენიათ საკანონმდებლო ინიციატივების გენდერული ანალიზი;
- ანგარიშვალდებული პირების მხრიდან დაბალია საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებისა და ამის თაობაზე ინფორმაციის საბჭოსთვის მიწოდების მაჩვენებელი;
- მთავრობის მხრიდან არ ხდება საბჭოსთვის წარსადგენი ანგარიშების დადგენილ ვადაში წარდგენა; ანგარიშების მოსმენის შემდეგ, არ ხდება საბჭოს მხრიდან რეკომენდაციების გაცემა;
- სამოქმედო გეგმაში საბჭოს აქტივობებისთვის გათვალისიწნებული ინდიკატორები და ვადები ზოგადი ხასიათისაა.

თავი 2. გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციები და შემადგენლობა

გენდერული თანასწორობის საბჭო პარლამენტში შექმნილი მუდმივმოქმედი ორგანოა, რომლის მიზანია გენდერულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

საბჭოს ფუნქციები

- პარლამენტის მიერ გენდერულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის ხელშეწყობა
- კანონმდებლობის ანალიზის განხორციელება და კანონმდებლობაში არსებული გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად წინადადებების შემუშავება
- საკანონმდებლო ინიციატივების ექსპერტიზა გენდერული თანასწორობის შეფასების თვალსაზრისით
- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება
- აღმასრულებელი ხელისუფლების გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის მონიტორინგი
- სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა პარლამენტში დაბარება და მათგან ინფორმაციის მიღება
- გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე უწყებათაშორისი კომისიის ანგარიშის მოსმენა
- ქალთა უფლებებთან და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული ეროვნული სამოქმედო გეგმების განხორციელების ზედამხედველობა

X მოწვევის პარლამენტში გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა 2021 წლის 27 იანვარს ჩამოყალიბდა და საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იცვლებოდა.[1] ვინაიდან ოპოზიცია ბოიკოტის რეჟიმში იმყოფებოდა, საბჭოს შემადგენლობას ოპოზიციის წევრები 2021 წლის 31 მაისიდან დაემატნენ. ამჟამად საბჭოს ყავს 19 წევრი, საიდანაც 12 უმრავლესობის, ხოლო 7 ოპოზიციის წარმომადგენელია.

1 ცვლილებები განპირობებული იყო პოლიტიკური ჯგუფების შექმნისა და ფრაქციების გაუქმების გამო. 2021 წლის მაისიდან საბჭოს შემადგენლობას დაემატნენ ოპოზიციონერი დეპუტატები: თეონა აქუბარდია, ხათუნა სამნიძე, ფრიდონ ინჯია, ნონა მამულაშვილი.

გენდერული საბჭოს წევრები არიან:

ნინო წიღოსანი
საბჭოს თავმჯდომარე (უმრავლესობა)

თეონა აქუბარდია
(ოპოზიცია)

ანა ნაცვლიშვილი
(ოპოზიცია)

ლევან ხაბეიშვილი
(ოპოზიცია)

ხატია წიღოსანი
(უმრავლესობა)

ლევან ქარუმიძე
(უმრავლესობა)

თამარ ტალიაშვილი
(უმრავლესობა)

მიხეილ სარჯველაძე
(უმრავლესობა)

ხათუნა სამნიძე
(ოპოზიცია)

ვახტანგ მეგრელიშვილი
(ოპოზიცია)

რამინა ბერაძე
(უმრავლესობა)

ნონა მამულაშვილი
(ოპოზიცია)

მარიამ ღაშხი
(უმრავლესობა)

ბაია კვიციანი
(უმრავლესობა)

რატი იონათამიშვილი
(უმრავლესობა)

ნინო იობაშვილი
(უმრავლესობა)

ფრიდონ ინჯია
(ოპოზიცია)

ირმა ზავრადაშვილი
(უმრავლესობა)

გიორგი ხელაშვილი
(უმრავლესობა)

საბჭო ამტკიცებს სამოქმედო გეგმებს, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მიმართულებით შესასრულებელ აქტივობებს, შესრულების ვადასა და ინდიკატორებს. სამოქმედო გეგმები განისაზღვრება ერთწლიანი და ორწლიანი ვადით.

საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფას ახორციელებს საბჭოს აპარატი, რომელიც, წინა წლების მსგავსად, შედგება მხოლოდ 1 თანამშრომლისგან.

თავი 3. საბჭოს საქმიანობის სტატისტიკური მონაცემები



საბჭოს აქტივობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია

- **11 სხდომა / 242 სამუშაო შეხვედრა**
- **102 ფორუმსა და კონფერენციაში მონაწილეობა**
- **საბჭოსადმი მოქალაქეთა 6 მიმართვა**
- **14 განცხადება / 2 კონცეფცია**
- **4 საკანონმდებლო ინიციატივა / 1 საკანონმდებლო წინადადება**
- **მთავრობის 2 ანგარიში**
- **4 თემატური მოკვლევის ჯგუფი**

თავი 4. კანონმდებლობის გენდერული ანალიზი, ინიციატივებზე მუშაობა და ადვოკატირება

4.1 გენდერული თანასწორობის საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების ჩამოყალიბება და მონიტორინგი

2021 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით, გენდერული თანასწორობის ახალი სახელმწიფო ***კონცეფციის ინიცირება 2021 წლის ბოლომდე უნდა განხორციელებულიყო, თუმცა 2022 წლის 25 მარტს [წარედგინა ბიუროს](#).***

დადგენილების პროექტის თანახმად, გენდერული თანასწორობის მისაღწევად განსაზღვრულია, მათ შორის, შემდეგი პრიორიტეტები:

- ➔ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სფეროებში მონაწილეობა;
- ➔ ეკონომიკური გაძლიერება და შრომითი უფლებები;
- ➔ გენდერული ძალადობის და ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის დაძლევა;
- ➔ ბავშვთა ქორწინებისა და სხვა საზიანო პრაქტიკების აღმოფხვრა და ა.შ.

დადგენილების პროექტი, ასევე, ითვალისწინებს სახელმწიფო უწყებათა შორის ეფექტიან კოორდინაციასა და თანამშრომლობას როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე.

4.2 კანონმდებლობის გენდერული ანალიზის განხორციელება

კანონმდებლობის გენდერული ანალიზის განხორციელების საკითხი გათვალისწინებული იყო როგორც 2021 წლის, ისე 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმაში.

გენდერული გავლენის შეფასება (GIA) განიმარტება როგორც შესაბამისი კანონმდებლობების, პოლიტიკებისა და პროგრამების წინასწარი შეფასება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, გაანალიზდეს მათი განხორციელების შედეგად წარმოქმნილი შესაძლო დადებითი, უარყოფითი თუ ნეიტრალური გავლენები ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის მდგომარეობაზე.[2]

კანონპროექტების გენდერული ანალიზის მიხედვით საბჭომ შემდეგი აქტივობები განახორციელა:

- 2021 წელს საბჭოში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი გენდერული გავლენის ანალიზის ინსტიტუციონალიზაციის ფორმის შესამუშავებლად.[3] 2021-2022 წლების განმავლობაში ჩატარდა 5 სამუშაო შეხვედრა და 1 სამუშაო შეხვედრა ივლისში იყო დაგეგმილი. *ჯგუფმა ექსპერტების ჩართულობით შეიმუშავა კონცეფცია, პარლამენტის საქმიანობაში გენდერული გავლენის ანალიზის (GIA) ინტეგრირებისათვის, რომლითაც* შემოთავაზებულია გენდერული გავლენის შეფასების ორეტაპიანი პროცესი. საბჭო მთავარ მაკოორდინირებელ ფუნქციას შეითავსებს. მიმდინარეობს მეთოდოლოგიის საბოლოო ფორმის შემუშავება, რომელიც პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივის სახით წარედგინება.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით მომზადდა მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს გენდერული გავლენის შეფასების ორეტაპიან პროცესს, კერძოდ, საბჭო იკისრებს მთავარ მაკოორდინირებელ ფუნქციას და განსაზღვრავს თუ რომელ კანონპროექტებზე/ინიციატივებზე უნდა განხორციელდეს სრულყოფილი გენდერული გავლენის ანალიზი. პროცესის კომპლექსურობიდან გამომდინარე, 2021 წლისთვის ვერ მოხერხდა მეთოდოლოგიის საბოლოო ვერსიის შემუშავება და დამტკიცება. მუშაობის პროცესი მრავალმხრივი დისკუსიის შედეგად დაგეგმილზე მეტხანს გაგრძელდა, შესაბამისად, აღნიშნული საკითხი გადმოვიდა საბჭოს 2022-2024 წლების გეგმაში.



2 Gender Impact Assessment: Gender Mainstreaming Toolkit. Vilnius, Lithuania: European Institute for Gender Equality (EIGE), 2016. https://bit.ly/3RpgGzl მითითებულია ნაშრომში: გაფრინდაშვილი ნ., გენდერული გავლენის შეფასება (GIA) სახელმძღვანელო დოკუმენტი პოლიტიკის სფეროებში გენდერული გავლენის შეფასებისთვის, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2020, https://bit.ly/3TGSf1Y

3 სამუშაო ჯგუფში შედიან საბჭოს წევრები, პარტნიორი დონორი ორგანიზაციები, პრემიერ მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების საკითხში და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა პარლამენტში დაინიცირებული კანონპროექტების გენდერული ექსპერტიზა.

გენდერული ანალიზის განხორციელების შესახებ ვალდებულება გადმოვიდა 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმაში.



2022-2024 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების გენდერული გავლენის შეფასების (GIA) შესრულების მიმართულებით, საბჭომ შემდეგი აქტივობები განახორციელა:

- საბჭომ დაიწყო მუშაობა კომიტეტების კოორდინაციის მიმართულებით. მიმდინარე პერიოდისთვის შერჩეულია საკანონმდებლო ინიციატივა და შექმნილია სამუშაო ჯგუფი გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს, პარლამენტის **აგრარულ საქმეთა**, **გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებისა** და **დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის** კომიტეტების წევრი დეპუტატებისა და აპარატის თანამშრომლების ჩართულობით.
- საბჭოს მხრიდან ჩატარებულია მოსამზადებელი სამუშაოები 2 საკანონმდებლო ინიციატივაზე, გენდერული გავლენის ანალიზისთვის. საბჭოს ინიციატივითა და პარლამენტის კომიტეტებთან თანამშრომლობით დაწყებულია მუშაობა აგრარულ საქმეთა კომიტეტში, „საკვების მარაგების შექმნისა და დონაციის შესახებ“ კანონპროექტზე, შექმნილია სამუშაო ჯგუფი. კანონპროექტი და მასზე განხორციელებული გენდერული ზეგავლენის ანგარიში ამჟამად საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- 2021 წლის აპრილიდან მიმდინარეობს საკანონმდებლო ინიციატივაზე მუშაობა, რომელშიც გათვალისწინებულია განმარტებით ბარათში გენდერული გავლენის ანალიზის კომპონენტის დამატება.

4.3 საბჭოს მუშაობა საკანონმდებლო ინიციატივებზე

პარლამენტიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში **საბჭოს სხდომაზე არ მომხდარა უკვე მომზადებული კანონპროექტის განხილვა**, თუმცა საბჭო მუშაობდა შემდეგ საკანონმდებლო ინიციატივებსა და წინადადებებზე:

„მსხვერპლის სტატუსის“ გაუქმება, როგორც თავშესაფრის სერვისებით სარგებლობის წინაპირობა – გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ინიციატივითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით მომზადდა ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს ე.წ. „მსხვერპლის სტატუსის“ გაუქმებას. მსხვერპლის სტატუსის არსებობის აუცილებლობა ხელს უშლის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მიერ, მხარდაჭერის მომსახურებების, მათ შორის, თავშესაფრის ხელმისაწვდომობას.

აღნიშნული ინიციატივა დაჩქარებული წესით განსახილველად 2022 წლის თებერვალში წარედგინა პარლმენტს და მისი განხილვა ამ დრომდე გაჩერებულია. პროექტით გათვალისწინებული ***ცვლილებები დადებითად უნდა შეფასდეს. მნიშვნელოვანია, პარლამენტმა დროულად მიიღოს ეს ინიციტივა***.

- **მარტოხელა მშობლის სტატუსის გაფართოების საკითხი** – საბჭოს ინიციატივითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით დამუშავდა და გაანალიზდა მარტოხელა მშობლის სტატუსის შეცვლის საკითხი. საბჭომ განიხილა პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი“-ს მიერ მომზადებული კანონპროექტი, რომელიც საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრავს მარტოხელა მშობლის სამართლებრივ სტატუსს და ითვალისწინებს აღნიშნული სტატუსის მქონე პირთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გაუმჯობესებას.

- არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“-ს მიერ მომზადებული საკანონმდებლო წინადადება **„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში** ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს გენდერული მიმართულებით სტატისტიკის წარმოების საკითხებს. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა აღნიშნული ინიციატივა საბჭოს 2021 წლის 23 აპრილს გააცნეს.

- გაგრძელდა მუშაობა **გენდერული თანასწორობის შესახებ** საქართველოს კანონის გადახედვაზე. გაეროს ქალთა ორგანიზაციამ საბჭოსთვის დაიქირავა ექსპერტ-კონსულტანტი, რომელმაც მოამზადა კანონში შესატანი ცვლილებები. 2021 წლის 7 აპრილს, აღნიშნული ცვლილებების განსახილველად, საბჭო შეხვდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლებს. ცვლილება არ არის ინიცირებული.

- გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო განიხილავს არასამთავრობო ორგანიზაცია **„ქალთა საინფორმაციო ცენტრი“-ს მიერ მომზადებულ საკანონმდებლო წინადადებას „გენდერული თანასწორობის შესახებ“** საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით, რომელიც ორგანიზაციის წევრებმა საბჭოს 2021 წლის 23 აპრილს გააცნეს.

2021 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, საბჭოს უნდა ემუშავა **გაუპატიურების დეფინიციის საკითხზე** და ჩაეტარებინა საკონსულტაციო შეხვედრები. მიღებული ინფორმაციის თანახმად, საბჭომ იმუშავა სტამბულის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ანგარიშზეც, სადაც აღნიშნული საკითხიც იქნა განხილული. 2022–2024 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით დაგეგმილია სტამბულის კონვენციასთან დაახლოებისათვის საჭირო საკანონმდებლო პაკეტის შემუშავება, რომლის ნაწილიც, შესაძლოა, იყოს ზემოხსენებული საკითხი.

2021 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ერთ-ერთი ვალდებულება იყო ქალთა მიმართ ძალადობისაგან ან/და ოჯახში ძალადობისაგან დაცვის მიზნით, შემაკავებელი ორდერის გამოცემის პარალელურად, ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების საკითხზე მუშაობის დაწყება. ამ მიმართულებით საბჭოს აქტივობა არ განუხორციელებია.

საბჭოს არ უმუშავია ისეთ პრობლემურ დანაშაულზე, როგორიცაა ფემიციდი. 2021 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, საბჭოს ერთ-ერთი აქტივობა უნდა ყოფილიყო **ფემიციდის მუხლთან**

დაკავშირებით მუშაობის დაწყება და უნდა ჩატარებულიყო საკონსულტაციო შეხვედრები.[4] მიღებული ინფორმაციის თანახმად, ფემიციდის გახმაურებულ შემთხვევებთან დაკავშირებით, საბჭო აკეთებს რეაგირებას, როგორც საბჭოს სოციალურ პლატფორმებზე განცხადებების გამოქვეყნების გზით, ასევე შესაბამის ძალოვან უწყებებში ოფიციალური წერილის გაგზავნისა და საქმის მსვლელობის მონიტორინგის გზით, თუმცა ფემიციდის კრიმინალიზების საკანონდებლო ცვლილებაზე საბჭოს არ უმუშავია.

სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშის თანახმად, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა კვლავ ქალთა გენდერული ნიშნით მოტივირებული მკვლელობებია (ფემიციდი). სტატისტიკის თანახმად, წინა წლების მსგავსად, ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის შემთხვევების კლების ტენდენცია არ შეინიშნება. წინა წლებთან შედარებით, გაზრდილია ქალთა თვითმკვლელობამდე და თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანის შემთხვევების რაოდენობა.[5]



წყარო: საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიში, 2021 წელი.



წყარო: საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიში, 2021 წელი.

თავი 5. ზედამხედველობის განხორციელება

5.1 ანგარიშების მოსმენა

- საბჭოს მნიშვნელოვანი ფუნქციაა აღმასრულებელი ხელისუფლების გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის მონიტორინგი. მონიტორინგთან დაკავშირებით ვალდებულებები გათვალისწინებულია 2021 წლის და 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმებში.

4 გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2021 წლის სამოქმედო გეგმა, ვალდებულება 2. აქტივობა 2.1.2, https://bit.ly/3zskuZd .

5 საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიში, 2021 წელი, https://bit.ly/3b42YC7 , გვ. 14.

2021 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად:	2022-2024 წლების გეგმის თანახმად
გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ განხორციელების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში პრემიერმინისტრის თანაშემწესგან	საბჭომ წელიწადში ერთხელ უნდა მოისმინოს: • ანგარიში ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ • ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ
გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის (შუალედური, ყოველწლიური) ანგარიშის მოსმენა	
მთავრობის მიერ გენდერული თანასწორობის სფეროში საქართველოს საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საპარლამენტო მონიტორინგში საბჭოს ჩართვა	

მიღებული ინფორმაციის შესაბამისად:

- საბჭომ **უწყებათაშორისი კომისიის 2020 წლის ანგარიში** მოისმინა 2021 წლის 24 მაისის სხდომაზე, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს უფროსმა, მაკა ფერაძემ წარადგინა.
- 2022 წლის 20 იანვარს საბჭომ გასვლით სამუშაო შეხვედრაზე მოისმინა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე **უწყებათაშორისი კომისიის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში**, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა, ნიკო თათულაშვილმა წარადგინა.

მონიტორინგის მიმართულებით აღსანიშნავია შემდეგი აქტივობები:

➢ 2021 წლის 21 ივნისის სხდომაზე მოისმინა საქართველოს **სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წარმომადგენლის მოხსენება,** სახელფასო სხვაობის დათვლის მეთოდოლოგიისა და ამ კუთხით ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ. ამავე სხდომაზე, საბჭომ, აგრეთვე, მოისმინა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის მოხსენება, „თანაბარი ანაზღაურების საერთაშორისო კოალიციის (EPIC)“ წევრობის მნიშვნელობის შესახებ.

➢ 2022 წლის 31 მაისის სხდომაზე საბჭომ მოისმინა სამ სახელმწიფო უწყებაში ჩატარებული გენდერული აუდიტის შედეგების შესახებ ანგარიშები:

- თავდაცვის სამინისტრო
- ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო
- პროკურატურა.

ანგარიშების მოსმენის შემდეგ საბჭოს რეკომენდაციები არ გაუცია.

5.2 თემატური მოკვლევის ჯგუფების საქმიანობა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი

თემატური მოკვლევის ჯგუფი	შემადგენლობა	შედეგი
„ქალთა უფლებები არაფორმალურ ეკონომიკაში და COVID-19-ის გავლენა“ 26.04.2021	მთავარი მომხსენებელი: **ხატია წილოსანი** (უმრავლესობა) წევრები: **მარიამ ლაშხი** (უმრავლესობა), **რამინა ბერაძე** (უმრავლესობა).	ანგარიში (დეკემბერი, 2021) შემუშავდა 16 რეკომენდაცია შესაბამისი უწყებების მიმართ.
„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბულის კონვენცია) ვალდებულებების კანონმდებლობაში ასახვის და მათი აღსრულების ეფექტიანობა“ 21.06.2021	მთავარი მომხსენებელი: **ნინო წილოსანი** (უმრავლესობა) **გიორგი ხელაშვილი** (უმრავლესობა) **ხატია წილოსანი** (უმრავლესობა) **თეონა აქუბარდია** (ოპოზიცია) **ბაია კვიციანი** (უმრავლესობა)	ანგარიში მოცემული მოკვლევის ფარგლებში გაიცა 37 რეკომენდაცია.
„გენდერული თანასწორობის საკითხების მეინსტრიმინგი სამთავრობო პოლიტიკაში“ 15.11.2021	მთავარი მომხსენებელი: **მარიამ ლაშხი** (უმრავლესობა) **ნინო წილოსანი** (უმრავლესობა) **ნინო იობაშვილი** (უმრავლესობა) **ბაია კვიციანი** (უმრავლესობა) **მიხეილ სარჯველაძე** (უმრავლესობა) **ანა ნაცვლიშვილი** (ოპოზიცია)	მიმდინარეობს მუშაობა.
ქალთათვის ფინანსურ რესურსებზე წვდომის შესახებ 31.05.2022	მთავარი მომხსენებელი: **ანა ნაცვლიშვილი** (ოპოზიცია) **ნინო წილოსანი** (უმრავლესობა) **მარიამ ლაშხი** (უმრავლესობა) **ლევან ქარუმიძე** (უმრავლესობა) **ხათუნა სამნიძე** (ოპოზიცია) **ნინო იობაშვილი** (უმრავლესობა) **ბექა ლილუაშვილი** (ოპოზიცია)	მიმდინარეობს წერილობითი მოსაზრებების მიღება.

- **თემატური მოკვლევის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი**

2021-2022 წლებში საბჭომ დაასრულა 2019 წელს განხორციელებული 2 თემატური მოკვლევის - „**სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა“ და „პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“** - ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი. საბჭო ასევე ახორციელებს ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ, **„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის შესახებ“** ჩატარებული თემატური მოკვლევის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს.

2 თემატური მოკვლევის - „**სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა“ და „პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ - რეკომენდაციების შესრულების** მონიტორინგის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია, რომლის თანახმად, პრობლემას წარმოადგენს ანგარიშვალდებული ორგანოების მხრიდან, საბჭოსათვის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, კერძოდ:

- რეკომენდაციების შესასრულებლად გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საბჭოსთვის არ მოუწოდებია **ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა** და საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

- ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებიდან (სულ 69 მუნიციპალიტეტი), რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა 32-მა მუნიციპალიტეტმა.

ვრცლად ინფორმაცია რეკომენდაციებს შესრულების შესახებ იხ. ცხრილში.

უწყება	გაცემული რეკომენდა-ციების რაოდენობა	სრულად შესრულე-ბული რეკომენ-დაციები	ნაწილობრივ შესრულებუ-ლი რეკომენდა-ციები	სრულდა შესრულე-ბულის %	ნაწილ-ობრივ შესრულე-ბულის %	შენიშვნა
საქართველოს მთავრობა	5	3	1	60	20	
იუსტიციის სამინისტრო	3	1	0	33	0	
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	3	2	0	67	0	
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2	2	0	100	0	
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	13	7	4	54	31	
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	1	0	0	0	0	შესრულების თაობაზე ინფორმაცია არ წარმოუდგენია
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	4	1	2	25	50	
„აწარმოე საქართველოში”	13	7	3	54	23	
სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო	17	11	4	65	24	
დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო	1	1	0	100	0	
ბიზნეს ასოციაციები	1	0	0	0	0	შესრულების თაობაზე ინფორმაცია არ წარმოუდგენია
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	1	0	0	0	0	შესრულების თაობაზე ინფორმაცია არ წარმოუდგენია
კერძო და სახელმ-წიფო პრაქტიკის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები	7	0	0	0	0	შესრულების თაობაზე ინფორმაცია არ წარმოუდგენია
რესურსცენტრები	1	0	0	0	0	შესრულების თაობაზე ინფორმაცია არ წარმოუდგენია

*წყარო: 2 თემატური მოკვლევის - **„სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა“ და „პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ - რეკომენდაციების შესრულების** მონიტორინგის ანგარიში*

საბჭოს შეფასების თანახმად:

- პარლამენტის კითხვებზე პასუხის გაცემისას შეინიშნება შერჩევითი დამოკიდებულება, უწყებები პასუხებს იძლევიან მხოლოდ ზოგიერთ შეკითხვაზე, სხვებს კი უპასუხოდ ტოვებენ;
- ხშირ შემთხვევაში უწყებების მიერ მოწოდებული პასუხები ზოგადი ხასიათისაა და მიუხედავად მათი მოცულობისა, ხშირად არ პასუხობენ უშუალოდ დასმულ შეკითხვას.



საბჭოს მოწოდებული ინფორმაციით, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის შესახებ“ თემატური მოკვლევის ჯგუფის რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდში, შესრულებულია საკვანძო რეკომენდაციები, მაგალითად: შემუშავებულია შესაბამისი სამედიცინო პროტოკოლები, გაწერილია გაიდლაინები, პარლამენტმა დაამტკიცა შესაბამისი ფაკულტატიური ოქმი, შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტი და ა.შ.

თავი 6. საბჭოს მიერ განხილული და მიღებული განცხადებები

მნიშვნელოვანია, საბჭოს მიერ განხორციელებული აქტივობის შესახებ ინფორმაცია იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი. ანგარიშებთან და განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობებთან ერთად ვებგვერდზე ქვეყნდება საბჭოს სხდომის ოქმები.

საანგარიშო პერიოდში გენდერული თანასწორობის **საბჭოს 6 განცხადება წარედგინა** და მიღებული ინფორმაციის თანახმად, რეაგირება მოხდა 5 მათგანზე, ხოლო ერთზე მიმდინარეობს მუშაობა.

საბჭომ განიხილა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციური პარტიების წერილობითი მიმართვა, რომელიც შეეხებოდა, 18 ივლისს, პლენარულ სხდომაზე, ოპოზიციონერ დეპუტატ - თინა ბოკუჩავასა და უმრავლესობის წევრ - შალვა პაპუაშვილს შორის მომხდარ ინცინდენტს.[6] საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „18 ივლისის ქმედებებს არ ჰქონდა გენდერული ნიშანი, რადგანაც იმ მოცემულობაში, მეორე მხარეს რომ მამაკაცი ყოფილიყო, მის მიმართ განხორციელებული ქმედება იქნებოდა ზუსტად იგივე“. ნინო წილოსანმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ „განხორციელებული ქმედებები მოქმედი საკანონმდებლო სტანდარტითაც დასჯადი არ არის“. მოსაზრებები დააფიქსირეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა და საბოლოოდ, საბჭომ, ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი ერთობლივი პოზიცია დააფიქსირა:

6 მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ნაციონალური მოძრაობა“-ს წევრმა, თინათინ ბოკუჩავამ, საჩივარი შეიტანა პარლამენტის ეთიკის საბჭოში. დეპუტატი ითხოვდა, „ქართული ოცნება“-ს წევრი პარლამენტარების, შალვა პაპუაშვილსა და ლევან მგალობლიშვილსთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას. 18 ივლისს პლენარულ სხდომაზე უმრავლესობისა და ოპოზიციის წევრებს შორის ხმამაღალი სიტყვიერი დაპირისპირებისას თინა ბოკუჩავამ სპიკერატისთვის განკუთვნილ ტრიბუნასთან ასვლა სცადა, თუმცა უმრავლესობის წარმომადგენელმა დეპუტატმა, შალვა პაპუაშვილმა, იგი იძულებით ჩამოიყვანა ტრიბუნიდან.

- 18 ივლისს განხორციელებულ ქმედებებს არ აქვს სამართლებრივი რეაგირების საფუძველი.
- 18 ივლისის სხდომის ინციდენტს წინ უძღოდა სხვადასხვა წინაპირობა, თუმცა რამდენად მიზანშეწონილი იყო დეპუტატების მხრიდან ფიზიკური რეაგირების განხორციელება, ამაზე დასკვნის გაკეთების უფლებამოსილება საბჭოს არ გააჩნია.
- ქმედება არ იყო გენდერული ნიშნით და უმრავლესობა თანხმდება, რომ ის არ განხორციელებულა მიზანმიმართულად გენდერული მოტივით, თუმცა ოპოზიციური დეპუტატის მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ შესაძლოა, ეს ქმედება ხელს უწყობდეს საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპების გაღრმავებას.

მომხდარი ინციდენტი ეთიკის ჭრილში არ შეფასებულა, ვინაიდან ეთიკის საბჭოს დაკომპლექტების პროცესი არ იყო დასრულებული.

რაც შეეხება საბჭოს მიერ გაკეთებულ განცხადებებს, წინა მოწვევის საბჭოებისაგან განსხვავებით, ისინი პარლამენტის ვებგვერდზე აღარ ქვეყნდება და მათი მოძიება მხოლოდ სოციალური ქსელის - facebook-ის პლატფორმითაა შესაძლებელი. საბჭომ სოციალური ქსელის საშუალებით გამოაქვეყნა 14 განცხადება.

რეკომენდაციები

წარმოგიდგენთ რეკომენდაციებს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაძლიერებისა და გენდერული საბჭოს საქმიანობის მიმართულებით, რომლებიც, მიზანშეწონილია, პარლამენტმა გაითვალისწინოს.

კანონშემოქმედებითი პროცესი:

- მნიშვნელოვან ინიციატივებზე უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის გენდერული ზეგავლენის ანალიზი ;
- მნიშვნელოვანია გენდერული ანალიზის განხორციელების პროცესში კომიტეტების ჩართვა;
- პარლამენტის რეგლამენტში განმარტებითი ბარათის ერთ-ერთ კომპონენტად უნდა განისაზღვროს გენდერულ თანასწორობაზე ზეგავლენის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ბიუჯეტის პროექტის გენდერული ანალიზი ყოველწლიურად, დროულად, უნდა ხორციელდებოდეს;
- კანონშემოქმედებითი თვალსაზრისით, კერძოდ, ფემიციდთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, რომ საბჭო უფრო აქტიურად დაინტერესდეს ამ მიმართულებით არსებული გამოწვევებით და ზედამხედველობის ფარგლებში გადადგას ეფექტური ნაბიჯები, მათ შორის, შემუშავდეს შესაბამისი კანონპროექტი, რომელიც, სისხლის სამართლის კოდექსში ფემიციდს სპეციალური ნორმით დაარეგულირებს.

რეკომენდაციები **საბჭოს საქმიანობასთან** დაკავშირებით:

- საბჭომ უნდა გააძლიეროს აღმასრულებელი ხელისუფლების გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის ზედამხედველობა, დაიბაროს უფლებამოსილი პირები სხდომებზე, გასცეს რეკომენდაციები და აკონტროლოს მათი შესრულება;
- საბჭოს მოთხოვნის შემთხვევაში, ანგარიშვალდებული პირები პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ კანონმდებლობით დაკისრებულ ვალდებულებას, საბჭოს უნდა წარუდგინონ შესაბამისი ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში, მოხსენებით წარსდგენ საბჭოს წინაშე;
- ღია მმართველობის საბჭოს მსგავსად, გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით უნდა განისაზღვროს საკონსულტაციო ჯგუფის შექმნის საკითხი, რომელიც დაკომპლექტდება ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან. საკონსულტაციო ჯგუფი მონაწილეობს საბჭოს სხდომებში, წარუდგენს მას წინადადებებს/რეკომენდაციებს და ეხმარება უფლებამოსილებების ეფექტიანად განხორციელებაში;
- საბჭოს განცხადებები უნდა ქვეყნდებოდეს პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე;
- მიზანშეწონილია, საბჭოს აპარატის ადამიანური რესურსით გაძლიერება, რათა მანსრულფასოვნად შეძლოს ფუნქციონირება და კომიტეტებთან ერთად, კანონპროექტების გენდერული ანალიზის შემუშავების პროცესში ჩართვა.